

რედაქცია

გადაიხიან პარკეტზე... კლუბის ქვემოთ... ხელის-მოწერა... შიდაგარეული... რედაქცია „Дружба“-„Иверия“... „დროება“-„იმერის“ უსსი... წელიწადში 6 ზვეს. 3 ზვეს... 14 მან. 8 მ. 5 მ. 9 მან. 5 მ. 3 მ. 7 მან. 4 მ. 2 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათის გარდა

უსსი განსხვავებისა

დროებას ხუთშაბათი 1 კვადრანტი... უსსი განსხვავებისა... გაცხადებენ... რედაქცია „დროება“-„ივერია“-„იმერის“... უსსი განსხვავებისა... რედაქცია „დროება“-„ივერია“-„იმერის“... უსსი განსხვავებისა... რედაქცია „დროება“-„ივერია“-„იმერის“...

პედაგოგიური რჩევა ქალაქის სახელობის სასწავლებლის სასწავლებელთა საბჭოს ამ სასწავლებელში მყოფ მასწავლებლის მიცვალბულის კონსტანტინე დავითისძე ნაცვლიშვილის ნათესავებთა და ნაცვლებთ მოზრდინდნენ მის პანაშვილზე, რომელიც დანიშნულია ვიანას 6 ქრისტეშობისთვის, დილის 11 1/2 საათზე შეაშვეთის წმ. ბიორგის ეკლესიაში.

ანწარუნის თეატრში კვირას, 6 დეკემბერს ქართული დრამატული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

მზის დაბნელება

არგინალური კომედია 3 მოქმედებად, ზ. ანტონოვისა. უსსი განსხვავებისა. ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში. დასაწყისი 7 1/2 საათზე.

ტელეგრაფი

კაპიტან-პრეზიდენტი, 1 დეკემბერს. „ნაკრავ გრემასში იწერებან: მრავანსკაი, ტეგლევი და ფურსოვი გასსაცაის თხზვნის შეტანას ახიზებენ. ტრიგანის საქმეს განხილავს განსაკუთრებული განყოფილება სენატისა, რომელმაც მიიღებენ მონაწილეობას წოდებათა წარმომადგენლები. ეს საქმე შუა იანვრისათვის ადის დანიშნული.

დროების ფელტონი, 3 დეკემბ.

სწავლა-განათლების სამხე მკვლეს საქართველოში. (სიკვება, თქმული კ. ქ. მამაცოვისა-გან 29 ენკენისთვის 1881 წ. თფილისის გიმნაზიის იუბილეის გამო).

ნება მომცით, მოწყალენო ხელმწიფენო, მოგახსენოთ რამდენიმე სიტყვა იმაზე, თუ როგორ უწყობდნენ ქართველები განათლებას და იმის წარმომადგენელს—სკოლას თავის დაპოუკიდებლობის დროს. როგორ და სად სწავლობდნენ ქართველები მეცხრე საუკუნემდე—ამის შესახებ ძალიან ცოტა ცნობები გვაქვს; მხოლოდ ერთი იმ დროინდელი გამოჩენილი მწერალი ჯუან-

კაპიტან-პრეზიდენტი, 1 დეკემბ. ბანკის ბილეთები: პირველი ვაშოცემისა— 94—30 მეორე — — — 90—87 მესამე — — — 90— 5 მეოთხე — — — 90—87 აღმოსავლეთის პირე.— 90— 5 აღმოსავლეთის მეორე 90—12 აღმოსავლეთის მესამე 90— 5 ოქრო, 1/2 იმპერიალი 7—77 შინაგანის 5% სესხი ბილეთები: მან. კაპ. პირველი სესხის — — 223—25 მეორე სესხის — — 216—25 100 მანეთი ღირს: ლანდონი — 25—40 პენსი ბერლინი — „ — „ პფენიგი ბამბურლი — 217—25 ცენტი პარიჟი — — 268 — „ სანტიმი ძავკასიის კერასინი — — —

ქალაქის საზოგადო ბანკი.

თფილისი, 2 დეკემბერს. ბევრი ქვეყანა არ მოიპოვებ დედამიწაზე ისეთი, სადაც ფულის სარგებელი ისე ძვირი და დიდი იყოს, როგორც ჩვენს ქვეყანაშია. უცხო ქვეყნებში, საფრანგეთში ან ინგლისში მაგალითად, ფულის პატრონმა რომ წელიწადში თუმანს ორი-სამი აბაზი მოაგებინოს, გასესხებულს ანუ რომელსავე საქმეზე მოხმარებულს ფულში ათ თუმანზე 5% (სარგებელი) აიღოს, დიდ მოგებად ითვლება; და ვინმემ რომ 7-8%-ად ისესხოს იქ ფული, მთელი ქვეყანა იტყვის, ან გაკოტრებას აპირებს, ან გაგიჟებულიაო.

ჩვენში კი გიჟსა და სულელს იმას დაუძახებენ, ვინც თავის ფულზე წე-

მერი¹⁾ გვარწმუნებს, რომ ამ ძველს დროშიაც ჰქონათ ქართველებს სკოლები, განსაკუთრებით სამცხეში, რომელიც მეზობლად იყო ჯერ რომისა და შემდეგ ბიზანტიის იმპერიისა; ორთავე ამ იმპერიისთან საქართველოს ეპარქიული აღმ-მცემლობითი დამოკიდებულება ჰქონდა, ბიზანტიასთან, ამას გარდა, სარწმუნოებითი კავშირიც. სანამ საეკლესიო წიგნები არ გადაითარგმნა ქართულად მანამ მღვდელთ-მოქმედება ქართულს ეკლესიებში ბერძულს ენაზედ იყო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში. მეცხრე საუკუნიდგან ორ გვარი სკოლები იმართება საქართველოში: ა) მდებალი ანუ სამრევლო სასწავლებლები, თითქმის ყველა ეკლესიებთან, სადაც წერა-კითხვას ასწავლიდნენ, და ბ) იმ მონასტრების უმალესი სასწავლებლები, სადაც ეპისკოპოსები იმყოფებოდნენ; ამ სასწავ-

ლიწადში თუმანზე სამ-ოთხ მანეთზე ნაკლებს სარგებელს იღებს! ბანკები 8-9 მ. და ხშირად მეტსაც იღებენ წელიწადში ათ თუმანს სარგებელსა და კერძო პირები და ესრედ-წოდებული „სესხის კასები“ კი ხანდისხან მანეთზე მანეთს, მანეთ-ნახევარსაც ახდებიან და ამასთანავე ერთი-ორი და სამი ფასის ბეისაც იტოვებენ! არ შეეუღლებით ახლა იმის გამოკვლევას—თუ საიღამ, რისგან წარმოდგება ეს ფულის სიძვირე ჩვენში, თუ რა არის ამის ნამდვილი მიზეზი. შეინდა მხოლოდ ვაღვიროთ ეს გარემოება, რომლისგანაც განსაკუთრებით ჩვენი ქალაქების ღარიბი ხალხი ასე შეწუხებული და შევიწროებულია.

მანონმა მიიღო მხედველობაში ეს ამ გვარი შეწუხება ხალხისა და სასტიკი სასჯელია დანიშნული იმათთვის, ვინც კანონიერ სარგებელზე მომეტებულს აიღებს თავის გასესხებულს ფულში. მაგრამ, საუბედუროდ, ეს კანონი მკვდარ, უძალი კანონად რჩება; არაფერ არ ფიქრობს იმის შესრულებას, ყველა ფულის პატრონმა იცის—როგორ აუხვიოს იმას გვერდი, რომ კანონიერი პასუხის-გება და სასჯელი აიცილოს თავიდან.

ამიტომაც სასიამოვნოდ უნდა მიგვაჩნდეს თვითონ ქალაქისაგან ესეთი ბანკის გახსნა, საიღამაც ფულის-მსაჭიროებელს უფრო ადვილადაც შეუძლიან სესხის აღება და უფრო ნაკლებს სარგებლითაცა „ქალაქის საზოგადო ბანკს“ ექმნება ყველა იმ ოპერაციების უფლება, რაც საზოგადოდ ყველა კომერციულ ბანკებსა აქვთ, ე. ი. ვექსელების განაღდება (უხეტი), ფულის გასესხება საქონლის

მელიც მეზობლად იყო ჯერ რომისა და შემდეგ ბიზანტიის იმპერიისა; ორთავე ამ იმპერიისთან საქართველოს ეპარქიული აღმ-მცემლობითი დამოკიდებულება ჰქონდა, ბიზანტიასთან, ამას გარდა, სარწმუნოებითი კავშირიც. სანამ საეკლესიო წიგნები არ გადაითარგმნა ქართულად მანამ მღვდელთ-მოქმედება ქართულს ეკლესიებში ბერძულს ენაზედ იყო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში.

მეცხრე საუკუნიდგან ორ გვარი სკოლები იმართება საქართველოში: ა) მდებალი ანუ სამრევლო სასწავლებლები, თითქმის ყველა ეკლესიებთან, სადაც წერა-კითხვას ასწავლიდნენ, და ბ) იმ მონასტრების უმალესი სასწავლებლები, სადაც ეპისკოპოსები იმყოფებოდნენ; ამ სასწავ-

გირაოთი, სარგებლიან ქალაქების ყიღა-გაყიღვა, ფულის გადატან-გადმოტანა, შენახვა სარგებლით სხვის ფულისა (ВЛАДЪ) და სხვ. და სხვ. არ ექნება მხოლოდ უფლება ფულის გასესხებისა უძრავ მამულების გირაოთი.

მაგრამ მაგიერად შემოსენებულ ბანკს ექმნება ერთი ისეთი უფლება, რომელიც ყველაზე უფრო საჭირო და დასაფასებელია ჩვენს ქალაქში და რომელიც ყველა სხვა ბანკებზე უფრო საჭირო და სასარგებლო ბანკად ჰხდის იმას: ჩვენ ვამბობთ იმაზე, რომ ბანკს შეეძლება (ლომბარდით) ოქრო-ვერცხლის, ძვირფას თვალეულის და სხვა ნივთების გირაოთი გასცეს მსურველზე ფული.

მინც იცის—თუ ჩვენი ქალაქის „სესხის კასები“ და სხვა-და-სხვა „რწმუნებითი ამხანაგობანი“ და კერძო პირები რამდენ სარგებელს იღებენ ამ გვარ გირაოთი გასესხებულს ფულში და როგორ სტარცვენ ამით ღარიბ ხალხს; ვინც იცის, რომ წვირმალი სესხის აღების მსურველი ყოველთვის და ყველგან უმეტესობას შეადგენს ქალაქში, ის, რასაკვირველია, დაფასებს ამ ოპერაციის სარგებლობას შემოსენებულ ბანკისას.

ქალაქის საზოგადო ბანკი იმით არის კარგი, რომ ის დიდ სარგებლობას და მოგებას არ გამოუღდება, ოღონდ თავის ხარჯი და ეპარქიული სარგებელი აიღოს თავის ფულისა. ნამდვილი სარგებლობა და მოგება ამ ბანკისა ის იქნება, რომ ხალხის აუცილებელ საჭიროებასა და მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს, გაჭირებულს ხელს მოუმართავს და საცა სხვები თუმანზე თუმანს სარგებელს

ლებლებში დაწვრილებით ასწავლიდნენ სამღვდლო წერილს, საერო მწერალთა ქმნილებათ და აგრეთვე ბერძნულის ენაზედ თარგმანებსა და საეკლესიო მხატვრობასა.

თფილისი და მლთისი იყვნენ დედა-ბოძნი განათლებისა; აქედამ გამოვიდნენ ბევრი გამოჩენილი მწერლები. ზოგიერთ ემაწიელ კაცებს ათინაში და ბიზანტიაში გზავნიდნენ უმაღლეს განათლების მისაღებად.

საზოგადოდ საქართველოში ისეთივე სკოლები იყო დაარსებული, როგორც საბერძნეთის იმ დროინდელი სკოლები.

მეცხრე საუკუნიდამ მეთუთხმეტე საუკუნის შუამდინ საქართველოს საუკეთესო დროთ ითვლება. ამ დროს ჩვენი ქვეყანა მჭიდროდ იყო დასახლებული; იმას ეჭირა საუკეთესო და

ახდევინებს, იქ ის ერთს მანეთს გა-
მოართმევს და ამ გვარად სესხის გაი-
ფებით გაჭირდება შეუმსუბუქებს.

აი, ამიტომაც სასიამოვნოდ უნდა
ჩაითვალოს ძალაქის საზოგადო ბან-
კის დაარსება ჩვენს ქალაქში...

ახალი ამბები.

ბელილი ნოემბრის 7-ს პეტერ-
ბურღში ყოფილა სხდომა იქაურ არ-
ხელოვანთა საზოგადოებისა, რომელ-
ზედაც პროფესორს პოკროვსკის, სხვა-
თა შორის შემდეგი სიტყვები უთქვამს
ბელილის მონასტრის შესახებ:

„ბელილის მონასტერი მეთერთმე-
ტე ან მეთორმეტე საუკუნეში უნდა
იყოს აშენებული. შესანიშნავი მო-
ზაიკა (ფერად-ფერადი ქვებით ნაკე-
თები ხატები ანუ სხვა ნივთები),
ჭრესკები და ემალია ამ მონასტერში.
შველავნად შესანიშნავი მოზაიკა, თა-
ვის სიძველითა და უცხო ხელობით
არის კედელზე გამოქანდაკებული ხა-
ტი მღვთის-მშობლისა; ძვირფასი რამ
არის აგრეთვე ემალით ნაკეთები
მღვთის-მშობლის ხატი, რომელიც,
როგორც ეტყობა, ბიზანტიის იმპერა-
ტორის ნაჩუქარი უნდა იყოს. რაიცა
შევხება კედლების ნახატებს, მეთე-
ქსმეტე საუკუნეში უნდა იყოს გა-
კეთებული. ეს ჭრესკები ამტკიცებენ,
რომ ქართველებს თავის საკუთარი
ხატის მხატვრობა ჰქონიათ, რომელიც
სხვა ძველ ერთა მხატვრობას არა
ჰგავს.“

* *

ბათუმში გავლის დროს ბერლინის
გამოჩენილ პროფესორს მიზნავს ამო-
ურჩევია ერთი ადგილი, სადაც გუ-
ლის მტკიანა ავადმყოფებისათვის
საავადმყოფო უნდა გაიმართოსო. ბა-
თუმში ისეთი კარგი ადგილი იქნება
შემდეგში ავადმყოფების საცხოვრებ-
ლად, თუ ტბები ამოაშრესო, რომ
იალტას უკან არ ჩამორჩებაო. შურ-
ძენიც აქ პირამის ყურძენზე უკეთესი
თუ არა, ნაკლები არ არისო.

* *

ბელილი კვირას, 29 ნოემბერს და-
მით, ერთმა ქართველ ყმაწვილმა

მღიდარი ადგილები ძაგასიის მთებში,
მტკვრის, რაონის, მნგურის, ძოდო-
რის და შორხის ხეობანი და მინ-
დურები და ხეობანი იმ მდინარეებისა,
რომელნიც ამ წყლებს ჩაერთიან²⁾.
მაჭრობა და წარმოება ძალიან გავრ-
ცელებული იყო ამ დროს ჩვენში.
სამცხე-საათაბაგოს ქართველები მთე-
ლის რომისა და შემდეგ ბიზანტიის
იმპერიებში განთქმულნი იყვნენ, რო-
გორც გამჭრიახი ვაჭრები.

²⁾ მე ვამბობ ვაჭრისტიანებულ სა-
ქართველოზედ, როდესაც საქართვე-
ლომ მიიღო ქრისტიანობა 318 წ.
ძრისტეს შემდეგ. სტრაბონი, რომელიც
ქრისტიანობამდინ მოგზაურობდა სა-
ქართველოში, დიდს ქებით იხსენ-
იებს მაშინდელ ქართველების შრო-
მის მოყვარებას, ვაჭრობასა და წარ-
მოებას. მთხი მილიონი მცხოვრები
ყოფილა მაშინ საქართველოში.

კაცმა ზებელოვმა განიზრახა რევოლ-
უციონით თავის მოკვლა. ზებელოვი მო-
ხელდა ტყვია, მაგრამ ლეთით, მხოლოდ
გაკაწრა და ერთი ნექნი აქვს გატეხი-
ლიო. ზებელოვი ამ ქამად ძალაქის
საავადმყოფოში წვეს და, როგორც
ამბობენ, სიკვდილით არა უშავს-
რაო.

ეს უბედური ყმაწვილი თურმე ლო-
თობას იყო შიშვეული და, რადგან
გრძნობდა, ეს ავადმყოფობა ლუბავდა
იმას, მომავალს უფუჭებდა, ამისათვის
განიზრახა თავის მოკვლაო. ხშირად
მომხდარა, რომ ამ გვარ გარემოებას
ისეთი მძლავრი შთაბეჭდილება ჰქო-
ნია ლოთზე, რომ მოკვუიანებულა
და ამ საძაგელ სენილამ განთავისუფ-
ლებულა. იმედი ვიქონიოთ, რომ
ბ-ნ ზებელოვზედაც ამ გარემოებას
ესვე შთაბეჭდილება ექნება. მით უფ-
რო ვინატრით ამას, რომ ჩვენ ვიც-
ნობთ ზებელოვს: ის ერთი ნიჭიერთა-
განი ნასწავლი ყმაწვილია.

წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! თქვენის
პატივცემულის ვაზეთის მე-190 №-ში
სხვათაშორის წავიკითხე სტატია შე-
სახებ თიონეთის გზისა, რომელშიაც
ავტორი „ლომო სუმს“ აყვადის პო-
ლიციის ჩინოვნიკებს უყურადღებ-
ლობას სოფლების საზოგადოების და
ფორიალნიკების შორის შემდგარ
პირობაზედ და საზოგადოდ ხალხის
შეწუხებაზედ. აღსადგენლად სიმართ-
ლისა, უმარჩილესად გთხოვთ მის-
ცეთ ადგილი თქვენს გაზეთში ამ
ჩემს შენიშვნას:

მარტის უკანასკნელს რიცხვებში,
პირველად რომ გამოვიდა ლუშეთის
მაზრილამ ხალხი გზის სამუშაოდ, მა-
შინ ზედამხედველმა ჩინოვნიკმა გა-
მოუცხადა საზოგადოდ ყველა მამა-
სახლისებს, მოთავე პირებს და თვით
ხალხსაცა, რომ არას-გზით თავიანთს
საქმეში არ შეუშვან უცხო პირნი
და არ მოსტყუდენ მათგან; და თუ
რომელიმე საზოგადოება თვით ნებო-
ბით ირჩევს ფულის გაღებას, ვიდრე
თავის სახლიდან მოცდენას და ბე-

ამ დროს შესანიშნავი მწერლები
ჩნდებიან საქართველოში. მე-X საუ-
კუნეში სამი ოლთისელი ქართველი
იოანე, ბიორგი და ქვეთიმე, რომელთაც
მშვენიერად იცოდნენ ბერ-
ძული და ებრაული ენა, ასწორე-
რებენ და ხელ-ახლად სთარგმნიან
ბერძნულის ენიდან ქართულად და-
ბადებასა, სახარებასა და საღმრთო
წერილის წიგნებსა. ამ წიგნების
თარგმნა, განსაკუთრებით სახარებისა,
იმდენად მშვენიერია და გასაგები,
რომ დღემდინაც ადვილად ესმის
ყოველ ქართველს.

ამავე მეთვე საუკუნეში პატრიარქმა
არსენამ დასწერა ბევრი ისტორიული
მონოგრაფიები³⁾.

³⁾ პატრიარქმა არსენიმ, რომელიც
ცხოვრებდა მეთვე საუკუნეში, დას-

გარაზედ მუშაობას, მაშინ იმ საზო-
გადოებამ უთუოდ უნდა გამოართვას
საფუძველიანი ბეი ფოდრიჩკისა. ეს
ჩაგონება და დარიგება არა-ერთ-გზის
იყო ზედამხედველის ჩინოვნიკისაგან,
არამედ თითქმის ყოველს დღეს
უახლდებოდათ.

მაგრამ ზოგიერთა საზოგადოებამ
იმ კეთილს ჩაგონებას და განკარგუ-
ლებას ყური არ მიუგდო. ირჩიეს
თავიანთს სახლებში დაბრუნება და
გზის ვადაცემა ფოდრიჩკებზედა.
ზოგნი მოუტივდნენ თავიანთს სოფ-
ლებშია და დაუწერეს პირობა და
ზოგნიც ადგილობრივ, სადაც მუშაო-
ბა ჰქონდათ; და რომელმა საზოგა-
დოებამაც გაიგონა დარიგება ზედამ-
ხედველისა, დაადგა თავის სამუშაო-
სა და დაასრულა.

პირველის მორიგებიდან ფოდრიჩ-
კები ძალიან ფიცხელად და ბევრის
მუშებით შეუდგნენ გზის კეთებასა.
ბევრმა კიდევ კარგად დაასრულეს
აღებული საქმეები; რამდენიმე ფოდ-
რიჩკმა, მაგ. პრტემ მათაროვმა
თავისის ამხანაგებით და ალექსანდრე
პოპიევმა, ველარ შეიძლეს შესრულე-
ბა და გაიქცნენ. რასაკვირველია, რა-
კი მათგან აღებული საქმეები რჩე-
ბოდა დაუსრულებელი, ზედამხედველ-
მა ჩინოვნიკმა დაინახა თავისი თავი
მოვალედ, რომ მოეწვია საზოგადოე-
ბა და გაეკეთებინათ მიზომილი გზა;
ესენი დღესაც მუშაობენ.

მსჯელობა ავტორის „ლომო
სუმისა“ არის უსაფუძვლო, ამიტომ
რომ ადმინისტრაციასთან არაერთარი
დამოკიდებულება ფოდრიჩკებს არა
ჰქონიათ-რა. მსენი შეეკრნენ საზო-
გადოებათა თითონ შინაურულის
ხელწერილებით თვინიერ ყოველი-
სა მონაწილეობისა ადმინისტრაციის
მხრით. პეტრემ, ვითარცა მოვალემ წი-
ნაშე მთავრობისა ამა საქმეში, დაი-
ქირავა პავლე და ეს პავლე მუშაო-
ბიდან გაიქცა, — მთავრობა მოით-
ხოვს ისევ პეტრესა თუ არა შესასრუ-
ლებელად ვალდებულებისა?

აი სადაზღისინ იყო ზედამხედველი
ჩინოვნიკი ყურის-მგდებელი ფოდ-
რიჩკებისაგან ფულის მიღებაზედ:

მეთორმეტე საუკუნის ნახევარში
ცნობილმა და შესანიშნავმა შოთა
რუსთველმა დაწერა თავის დიდი
ეპიკური პოემა „მეფის ტყაოსანი.“
ამ მაღალ ხელოვნურ პოემაში გა-
მოხატულია რუსთველის თანამედროე
თამარ მეფე და იმის კარის-კაცები.
ეს პოემა არის მთელი ფილოსოფიუ-
რი სწავლა ზნეობასა და ცხოვრება-
ზედ.

წერა ცხოვრება წმინდა ნინოსი,
ქრისტიანობის მიღება ქართველთაგან,
ისტორია იესო ძრისტეს კვართისა,
ცხოვრება სირის მოწაფეთა: იოანე
ზედაზნელისა, ლავით ბარეჯელისა,
შიო მღვიმელისა, მისკოპოლის აბიბო
ნეკრესელისა, ცხოვრება ლავით და
ძოსტანტინეს არგვეთის ძრისთავები-
სა და მათი წამება მურვან ქრუს-
გან.

რამდენამე საზოგადოებამ მოუტანეს
ფული ფოდრიჩკებზედა, მაგრამ ზე-
დამხედველი უკრძალავდა საზოგა-
დოებას ფულის მიცემას და ეტყობა:
მინამ თქვენმა ფოდრიჩკმა არ და-
ასრულოს თქვენი გზა და არ მოგი-
ტანოთ შესრულების ქალაღი, მა-
ნამდისინ არა მისცეთ-რაო. აქედამ
ცხადად დაინახავს მკითხველი მზრუნ-
ველობას ზედამხედველისასა და მასაც,
რომ რაოდენ უსაფუძვლოა მსჯე-
ლობა „ლომო სუმისა“.

რაიცა შეეხება გზის მომატებას, აი
როგორ იყო:

ზოგიერთი საზოგადოებანი შე-
თანხმებოდნენ კონდუქტორსა შეს-
ყიდვით ფულითა და გზის მიზომაში
მოგზაართ ზოგს ასი საყენი, ზოგს
მეტ-ნაკლები. ეს გაუგო ზედამხედ-
ველმა და მაშინათვე შეუდგა გამო-
ძიებასა, აღმოაჩინა დამნაშავენი ერ-
თის მხრით კონდუქტორი და მეო-
რის მხრით თვით საზოგადოებანი.
კონდუქტორს დაბრუნებინა აღებუ-
ლი ფულები ისევ საზოგადოებისა-
თვის და საზოგადოებას მოუშომა
რაოდენიც აკლდათ გზა მოპარვითა.
ამაზედ არის მთელი გამოძიება შედ-
გენილი და წარდგენილიცა და დამ-
ნაშავე კონდუქტორიც მაშინათვე
სამსახურიდან დათხოვნილი.

უნდა ესთქვათ ესეც, რომ, თუ არ
სასამართლოს წესითა, პირობის დარღ-
ვევაზედ რა უფლება აქვს ზედამხედ-
ველს პოლიციის ჩინოვნიკსა, რომ
ფოდრიჩკის აღებული ფულები და
ჯარიმა მოხსენებული მათს პირობის
წერილში, გარდააზღვეინოს სასარ-
გებლოდ დაჩაგრულის ხალხისა. ამ
გვარს საქმეში ზედამხედველს ჩინო-
ვნიკს შეუძლიან მხოლოდ ის, რომ
ფოდრიჩკისაგან პირობის შეუსრუ-
ლებლობაზედ შეუდგინოს დაჩაგრულს
ხალხს პროტოკოლი და მისცეს მათ
დამამტკიცებელს საბუთათა, რომ
ფოდრიჩკმა ნამდვილად არ დასრუ-
ლა მათი პირობა. მსენი ეტყობა
„ლომო სუმს“ სრულებით აღარ მოს-
ვლია თავში, ანუ სრულებით კანო-
ნების ძალა არა სცოდნია...

საკვირველია ესეც, რომ „ლომო

მეთორმეტე საუკუნეში სცხოვ-
რებდნენ აგრეთვე თამარ მეფის თა-
ნამედროენი: მოსე ხონელი, ჩახრუ-
ხაძე, შავთელი და სარგის თმოგვე-
ლი, რომელთაც დაგიტოვეს შესა-
ნიშნავი ლექსთ-თხზულება და რომა-
ნები. მეთვე საუკუნეში თორნიკე
ძრისთავმა დააფუძნა ათონის მთაზე
ივერიის მონასტერი, იქვე გამართა
სკოლა და ბიბლიოთეკა, რომელიც
დღემდინ არსებობს⁴⁾.

⁴⁾ სახელ-წოდებას ივერიას რომი-
სა და საბერძნეთის მწერლებიც ხმა-
რობენ. სტრაბონი და საზოგადოდ
ბერძნები მთელს საქართველოს, შე-
ზღვის ნაპირა ქვეყანას გარდა, ივე-
რიას ეძახიან, და შავ-ზღვის ნაპირა
ქვეყანას, რომელიც აგრეთვე ქარ-
თველებით არის დასახლებული, ძოლ-
ხილას უწოდებენ.

სუმ“ ამბობს, ერთს კარავში და ერთს ქოხში სცხოვრობდნენ ჩინოვნიკები და ფოდრიანიჩიკები. მე ამხედ მოგახსენებთ, რომ ავტორს სწორედ ვერა გაუგია—რა, თავის თვლით არა უნახავს რა და არც თითონ ამ ხეობაში ყოფილა. იქნება მგზავრმა ვინმე წაოყრანტალა, რომ ფოდრიანიჩიკი ჩინოვნიკის კარავში იყოფე და მან ავტორმა, უთუოდ ის წარმოიდგინა, რომ ჩინოვნიკი და ის ერთად სცხოვრებნო.

შეიძლება ესეც, რომ ფოდრიანიჩიკი შესულიყვეს ზედამხედველის ჩინოვნიკის კარავში იმ მიზეზით, რომ ფოდრიანიჩის უჩივლებდა ვინმე მასთან საქმის დამჭერი; ჩინოვნიკი დაიბარებდა ფოდრიანიჩსა და რაც შეეძლო ბოდა დაჩაგრულის გლენის დახმარებას და შემწობას, ეცდებოდა. მაგრამ ახლა თქვენ მიბრძანეთ: ფოდრიანიჩიკმა უპასუხა ჩინოვნიკსა:— მე ვარ და არ ვაკეთებო, ანუ ჩემს პირობას და შეკრულობას ხალხს არ უსრულებო! მაშინ რა საშუალება უნდა მიიღოს ზედამხედველმა ჩინოვნიკმა? უნდა უთხრას გლენ-კასა:— აი, შეიღო გეყურება ეს შენი ფოდრიანიჩიკი რას ამბობს, მე შეგიდგენ შენ ქალღალსა, წადი, უჩივლე სასამართლოში და გარდახედვინე მიცემული ფულიცა და პირობაში მოხსენებული ჯარიმაცა. ამისთანა მაგალითები კიდევ მოხდა: საზოგადოების პირებმა უჩივლეს ფოდრიანიჩიკებსა და კიდევ ახდევინებენ ფულებსა. არც კი ისრეთი კოტრები გახლავან ის ფოდრიანიჩიკები, რომ ორასისა და სამასის თუმნის შეძლება არ ევალებოდეთ და მეტი ფული არც იმათ ჩაუარდნათ ხელშია, და რაც ფული აქვსთ იმათ აღებული, იმისი ფასისა ნამუშაოარიცა აქეთ. ამაში ხალხი ან რასა ჰკარავას; ხომ თითონ უნდა ემუშავენათ და მომცდარიყვნენ თავიანთს შინაურს საქმეს, თიბვისა და მკის დროსა, ეხლა კი ფოდრიანიჩისამაგიც უსასყიდლოდ დარჩებათ მათა და კანონის ძალით მიცემული ფულებიც უკანვე დაუბრუნდება ჯარიმითურთ,

მეთუთხმეტე საუკუნის ნახევრიდან იწყება საქართველოს დაცემა: შიგნით განხეთქილება ჩამოვარდება; მეფე ალექსანდრე სამად ჰყოფს საქართველოსა და თითო ნაწილს თითოეულ თავის შვილს აძლევს; ეს სამი ნაწილები არიან: მართლი, ძნეთი და იმერეთი; ფესვებს იღვამს და მაგრდება თავდაზნაურობა და იმასთან ერთად ბატონ-ყმობაც; ოთხი სხვა სამთავრო არსდება: ზურია, სამეგრელო, აბხაზეთი და სამცხე-საათაბაგო, რომელთ მთავრებსაც მხოლოდ გარეგანი დამოკიდებულება აქვთ საქართველოს მეფეებთან.

საქართველოს გარეთ მაჰმადიანები იკლებენ ქრისტიანებს, სხვათაშორის, ესენი არ ჩერდებიან აზიაში: შავის-ზღვით მეროპასაც შეესევინა, იპყრობენ სტამბოლს და სობენ ბიზანტიის იმპერიას.

ამითი მოსდით ზარალი ფოდრიანიჩიკებსა და არა ხალხსა. რაიცა შეეხება „ლომო სუმის“ შენიშვნას, რომ ჩინოვნიკები ეტყოდნენ ხალხსა და კიდევაც ეტყვიან, რომ თქვენს ფოდრიანიჩიკებს არ ვიცნობთო, ვგონებ, თუ მართლა უთქვამსთ, წინააღმდეგი სინიდისისა და კანონისა არ უნდა იყვეს, რადგანაც ჩინოვნიკები ფოდრიანიჩიკებს წინაშე მართებლობისა არ იცნობენ მოვალედ ამ საქმეში...

ცხვარაჭამიელი.

დუშეთი, 29 ნოემბერს.

პასუხი ბ-ნს ნესტორ ჯანელიძეს

ძალიან მაკვირვებს, რომ ყველა იმ პირებთ შორის, რომელთაც ბ-ნი პრისტაეის ჯანელიძის უკანონო და ურიგო მოქმედებანი ბეჭდითი გამოაცხადეს და ახადეს ფარდა იმის უსამართლო მოქმედებას მართო ჩემზედ მოიმიზნეს, მართო ჩემზედ იარაღდებიან, რომელსაც გულ ახდილად ვამბობ, არ მაქვს მონაწილეობა იმ დასში. შეაკვირებთ უფრო იმიტომ, რომ ჩემი სტატია შესახებ იმისა, რომ მე არა ვარ ის რაჭველი, რომელიც სწერდა ბ-ნ პრისტაეზე, ბ-ნს ჯანელიძეს წაუკითხავს კიდევცა. რაიცა შეეხება იმას, რომ თანაგრძობა გამოვაცხადე ხსენებულის ავტორისა, ვითომ რა ცოდვად და დანაშაულობად უნდა ჩამეთვალოს ის, რომ ჰქმნარიტებასა და სიმართლეს თანაუგრძნო? მაგრამ მთავარი მიზეზი ამისა, რომ თქვენ ჩემზე მოგაქვსთ ეჭვი უნდა იყოს ის, რომ თქვენ დარწმუნებული ბრძანდებით, რომ მე, თუ სულ არა, უმეტესი ნაწილი თქვენი მოქმედებისა კარგად ვიცი და გგონათ ყველაფერს, რაც კი ითქმის თქვენზედ, მე ვამბობ. ძალიან სტდებით; რატომ არ იცით, რომ სხვებმაც მოვალეა იციან თქვენი ხასიათი და მოქმედებები?

მაგრამ თავი დავანებოთ იმაზედ ბაას და მიუბრუნდეთ ისევ თქვენს საკბილო ბანკს, ხვანჭკარის ამხანაგობას. თქვენ თვით ამტკიცებთ

ამ მძიმე მოვლენათ დიდი და დამლუპავი ზედ-მოქმედება ჰქონდათ საქართველოს ბედზედ. ბიზანტიის იმპერიისა და სომხეთის სამეფოს მაგივრად, საქართველოს მეზობლად ოსმალთა ხდება. დასავლეთ-სამხრეთი ნაწილი საქართველოსა¹⁾, ორი საუკუნის განმავლობაში ბრძოლის შემდეგ, ემორჩილება ოსმალეთს 1621 წელსა. თუმცა ამ საქართველოს ნაწილის ერმა, ბევრი ტანჯვისა და ბრძოლის შემდეგ, მაჰმადის სარწმუნოება მიიღო, მაგრამ ენა, ხასიათი და თვით სახელიც ძველი მართველებისა დაცვეს.

¹⁾ დასავლეთ-სამხრეთი ნაწილი საქართველოსი, ე. ი. ახალ-ციხის, ახალ-ქალაქის, ბათუმის და ოლთის მაზრები, რომელნიც ოსმალთს ხელში იყვნენ და ახლა რუსეთმა დაიპყრო, გამაჰმადიანებულ ქართველებისაგან არის დასახლებული.

თქვენს სტატიაში ყველა იმას, რასაც ჩვენ გაბრალებდით ამ ბანკის შესახებ; თვითონ ამბობთ, რომ მართლა დაგითხოვიათ მამახალხები, რომ არ გადახდევინონ უპირულ მოვალეებს ფულები, არ აღასრულონ ზემოხსენებულის ბანკის ვამგობის მოთხოვნილება. და ეს ყოველად უკანონო მოქმედება თქვენი. რომ რომელიმე ონბაზური მოქმედებით დაფაროთ, აგვიხვიოთ თვალი და კანონიერად დაგვანახოთ, მოგყავთ ქორიკანობა, ვითომც თქვენ გეუბნებიან გამოცხადებული უპირული ამხანაგები, რომ მე ვართმევ იმათ წილის ფულებს; კიდევ რომ ეგ აგრე იყოს და შეგიძლოსთ დამტკიცება ამისა, თქვენ მაინც არ გქონდათ არავითარი უფლება ამ გვარის განკარგულებისა, რომელიც, როგორც ხედავთ, არის ერთი უმთავრესი მიზეზი ამ ამხანაგობის მოსპობისა. მაგრამ ყველა ეს არის ნამდვილი ცილის-წამება პირადის ანგარიშებისა, რადგან არც ერთი მაგალითის ჩვენება არ შეგიძლიათ იმის დასამტკიცებლად, რომ ვისაც კანონით ეკუთვნოდა წილის ფულების უკანვე მიღება კანონიერის მოთხოვნილებისათავე არ ჩაგვებარებოთ; და, რასაკვირველია, იმ პირთ, რომელთაც მაგალითად 10 მ. აქვსთ წილის ფული და ასი გაუტანიათ და არ დაუქმყოფილებიათ ბანკი, იმათ ვერ მივსცემდით წილის ფულს. იქნება ამ გვარი პირი შეგხვდეთ ვინმე!

ბრძანებთ, ვითომც ვალის გარდახდაზედ ჩემის მხრით უსამართლოება სჭირდესთ ამხანაგებს. ძარგი იქნება მიგვითითოთ ხელი, ვინ შევავიწროვებ, ვის მოვექვცი უკანონოდ, თვითმნებებელობით, ან რა კერძო ინტერესები უნდა მქონდეს მე აქა?

თქვენ რომ კიდევ კუდს იქნეთ და ამბობთ: მე ის ბრძანება გავცეო, რომ რაც კანონით არ ვაყიდება კაცს ვალში, ამას ნუ გაუყიდითო, — თუ უკაცრავად არ ვიქნებით, ეგ ჩვენც კარგად გვესმის, ჩვენი ბანკის წესდებულებაში ჩინებულად არის განმარტებული—თუ რა და რა ქონე-

შემდეგ ახალი უბედურება დაერთო საქართველოს: მეჩვიდმეტე საუკუნიდან (ე. ი. შაჰ-აბაზ I-დგან სპარსეთის გაძლიერება), მეფეთამეტე საუკუნის დამლევამდე სპარსელები მუდამ თავს ესხმიან და იკლებენ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილსა. 1720 წელს შაჰ-აბაზი აიკლებს ძახეთს.

1735 წელს ნადირ-შაჰი დაეცემა მართლს, აიკლებს, ბორჯომის ხეობიდან და სხვა ადგილებიდან აპყრის ხალხს და გადაასახლებს სპარსეთში.

1795 წელს შაჰი ალა-მაჰმად-ხანი გაიძევრობით შემოვა საქართველოში და აიკლებს ოფილისს.

როდესაც მართლ-ძახეთს ამ გვარად იკლებდა სპარსეთი, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს, ე. ი. იმერეთს, ზურიასა და სამეგრელოს ოსმალელები აოხრებდნენ და იკლებდნენ. ლეკები ხედავდნენ საქართვე-

ბულების გასყიდვის უფლება აქვს უპირულ მოვალისა-შენს...

ჩვენ ესდგევართ იმ წილს, რასაც გვაუფუნებს ჩვენი წესდება.

მაგრამ ვინ მოგცათ იმისი უფლება, რომ ბანკს შევალეები გაუყენოთ და ბრძანება გაცეთ, არაფერი გაეყიდოს ბანკის ვალში ამხანაგებსა? ჩვენ ბევრი ვეძებეთ, მაგრამ ვერსად ვერ შევხვდით ისეთ მუხლს კანონისას, რომელიც ამის უფლებას ანიჭებდეს პოლიციის პრისტაეს.

რაიცა შეეხება იმას, რომ ბუგეულში ხილის გაცეთებას ჩვენ გვამაღლით, მოგესხენებათ ეს მართო ჩვენი საინტერესო არ გახლდათ; როგორც ხვანჭკარის და ბუგეულის საზოგადოებისათვის საჭირო და სასარგებლო იყო ხილი, უფრო იმ სოფლებისათვისაც, რომელნიც მდებარეობენ ხილის კარის ქვემოდ, როგორც შემაერთებელი მდინარე რიონისაგან შუა გაყოფილის მეზობელ სოფლებისა. ეს მაზრის უფროსმა და თვით ხალხმაც დაინახა საჭიროდ და ჩვენც ადგილობრივმა მემამულენმა მივეცით საჭირო შემწობა და გაკეთდა ხილი. იუ დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ვარდა შიფანებისა, არავის სარგებლობას არ მოუტანს ის ხილი, შემცდარხართ, რომ გიზრუნვიათ და გიშრომიათ.

თ. კ. ვიფიანი.

სოფ. ტალა, 20 ნოემბერს.

თჳილისის საგჳრნალო

ავათმეოფეები მიიღებიან დიდის რგა სხათიდამ თარმეტ სხათამდის.

რ შახათს. გარალევინი და დისიცი—შინაგან ავათმეოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და სირურგიული ავათმეოფობისა; ბანუტკავი—ბუბიაბის, ქალების და ყმაწვილების ავათმეოფობისა; ბაბაყვი ძარლკების სისუსტის და შინაგან ავათმეოფობისა.

სამ შახათს. შინკევინი—სირურგიული ავათმეოფობისა; დისიცი—შინაგან ავათმეოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავათმეოფობისა; ბანუტკავი—ბუბიაბის, ქალების და ყმაწვილების ავათმეოფობისა;

ლოს დაუსტებას და მოსვენებას არ აძლევდნენ ძახეთსა და მართლს.

მოხი საუკუნის განმავლობაში იყო საქართველო ამ ყოფაში, ამ გაუწყნარებელ ბრძოლაში მძლავრ მტრებთან და, რაღა თქმა უნდა, დასუსტდებოდა; მაგრამ მხნეობითა და თავ-გადადებულ ბრძოლით ქართველებმა დაცვეს მომეტებული ნაწილი თავის სამშობლო ქვეყნისა; თავის ხალხონობა და სარწმუნოება, და ეს იმ დროს, როდესაც ბევრი სხვა ქრისტიანი ხალხები გაიქვლნენ და აკლებულ-იქმნენ მაჰმადიანთ ხმლისაგან.

მაგრამ ბოლოს საქმე იქამდინ მივიდა, რომ ღირსეულ წინამძღვარს მოკლებულმა და განაწილებულმა, აოხრებულმა საქართველომ ვეღარ გაუძლო ყოველის მხრით შემოსეულ მტერსა და მიენდა ძლიერს, თანამორწმუნე სახელწიფოს (1800 წ.).

(დასასრული შემდეგში).

ბაზაევი და დანიელ-ბეგოვი — ძარღვების სისუსტის და შინაგან ავთმეოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიცევი და მი-რამანოვი შინაგან ავთმეოფობისა; კელ-დიში — სიფილისტიკური და სირურგიუ-ლი ავთმეოფობისა; ბასუტოვი — ბუ-იაობის ქალების და უმწვიღების ავთ-მეოფობისა; ბაბაევი — ძარღვების სისუს-ტის ავთმეოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცევი — შინაგან ავთმეოფობისა; კელდიში — სიფილის-ტიკური და სირურგიული ავთმეოფობის-სა; ბასუტოვი — ბუბიაობის, ქალების და უმწვიღების ავთმეოფობისა; ბაბაევი — ძარღვების ავთმეოფობისა.

შაბათს. მინკევიჩი — სირურ-გიული ავთმეოფობისა; ლისიცევი, მი-რამანოვი და დანიელ-ბეგოვი — შინაგან ავთმეოფობისა; კელდიში — სიფილის-ტიკური და სირურგიული ავთმეოფობის-სა; ბასუტოვი — ბუბიაობის, ქალების და უმწვიღების ავთმეოფობისა; ბაბაევი — ძარღვების სისუსტის ავთმეოფობისა.

შაბათს. ლისიცევი — შინაგან ავთ-მეოფობისა; კელდიში — სიფილისტიკურ-რი და სირურგიული ავთმეოფობისა; ბასუტოვი — ბუბიაობის, ქალების და უმწ-ვიღების ავთმეოფობისა; ბაბაევი — ძარღ-ს სუსტის ავთმეოფობისა.

განცხადებანი

ახალი ღუშნები და ღილი სარ-დაში ღვინის საფაქროდ ქირავდება შუა ბაზრის გუთხეში, პრიკაზის ქუ-ჩაზე, რომელიც ჩადის მკარხის მი-ღანზე. № 4. შასი შეიტყობა, სო-ლოლაკხედ ბალის ქუჩაზე, № 56. (3—1)

ისყიდება

- 15,000 თუფში 1 ხარისხისა, თი-თო 15 კაბ.
- 12,000 ბროლის სტაქანა თითო 25 კაბ.
- 10,000 ბაგალი და სტაქანა თითო 10 კაბ.
- 10,000 ფოდნისა და გასაღები თითო 15 კაბ.
- 10,000 ნეესი, 8 კ. 40-მინ ასი.
- 10,000 ზენაღი თავის პრიბორით თითო 5 კაბ.
- 5,000 ბოთლი ზარტკეინისა და ხეკისის თითო 1 მან.
- 2,000 არშინი კლიონკა 60 კაბ. 2 მან. არშინი.
- 2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაბ. დიუჟ.
- 2,000 გირვანქა ინდოეთის ბრანჯი 7, 8, 10 კაბ. გირვ.
- 1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლე-ზიოშა 50 კაბ. გირვ.
- 600 ინგლისის რეკალგერა 4 მან. 34-მლი.
- 300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან.
- ღრაბი, მაუდი, ტრიკო, ალბომე-ბი, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად. ინგლისის მაღაზიაში. (40—5)

თიანეთის დამზოგველი

რომელმაც დაიწყო თავისი მოქმედო-ბა ამ 1881 წელს 31-ს ოქტომბერს, ამით აცხადებს სწავლელთაად, რომ ის თავის წესდების ძალით, ჰისრუ-ლობს და ასრულებს მოთხოვნი-ლებას უგულასაგან შემდეგ საგნებზე, ესე იგი იუიდის მონდობილობით:

- 1) ორმოცს ათას ფუთს თუშურს მატყლას;
- 2) ოცი ათასს ფუთს თუშურს უგულას;
- 3) ექვსი ათას ფუთს მთის კრბოსა;
- 4) ასი ათასს ქათამს და სხვა ფრ-ნველს და
- 5) ოცი ათასს საკლავ — ცხვარს.

უგულა აქ მოსსენებელი ნაწარმოები თიანეთის მაზრის დამზოგველ სა-ზოგადოებას აქვს თითქმის ხელში ყოველ დროისთვის, რადგან იგი საზო-გადოებას არის შემდგარი თვით ხსენე-ბულ საგანთ მწარმოებელთაგან.

ვისაც ზემოხსენებულ ნაწარმოებათა ზირ-და-პირ, უიდავ სურდეს მიმართოს საზოგადოებას და მიიღებს საქონელს იმა საზოგადოების შუამავლობით, თუ რა ზირობით ეკვრება დამზოგველი სა-ზოგადოება ნაწარმოების მოითხოვს, შეიძლება ამასე გაკება მოწერილობით შემდეგის ადრესით:

თიანეთს, დეზოში თიანეთის დამზო-გველ საზოგადოებისა.

Въ Тіонетъ. Въ Тіонетское Общество бережливости. (3—3)

ჩაის მცოდნე ზირმა და მსურ-ველმა უნდა იუიდოს ჩაი, ზირ-ველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაბ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაბ. და 3 მან. უგულვან, ქ. თბილისში და გაიგებთ რა-მდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღა-ზია აძლევს ჩაის წმინდა წო-ნით უქადადლოთ და უტყვიოთ. (100—89)

ლონდონის მაღაზია გომერციულს ბანკის ქვეშ დაასრულებია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ ზირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მა-გალითებრ: თოფებისა, რეკალგერებისა, კლიტკებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შო-კოლადისა, გაკაოსი, დუხებისა, საშონი-სა, შხო კებისა, ცხვირ-სასხრისა, ქა-დადლისა, კარანდაშებისა, კაღებისა, უნა-გრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშნი-ვინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მა-კინტოშის მოსსენებებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკუნის და გამშ. მუ-რანისა, აგრეთვე ხეუჭებისა და წინდე-ბისა ნოტისგამიდამ. ნამდვილი ჭკავანს გაიკება. (100—50)

ი. მურადოვის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საქმოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად საფეო და საქალბო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავ-ლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სა-მოსწავლო და სკოლაში სახმარო ნიეთები და მოთხოვნილობისა და-გვარად დანაზული რვეულები, ასი-5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნიეთები და მა-სალები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ძალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთ-ხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ ასარულებს და გამოგზავნის პირვე-ლივე წამომავალი ფოშტითა. (50—23)

ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ალაგას ჩაი, გაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მუ-რანა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქანი, ბაკლები, თუფები, ჩაინიკები, სუდოკე-ბი, ფოდნოსები, ზირის-სახანი, კლიტკე-ბი, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კაღები, ქადადი, კანფეტები, რეკალგერები, კარანდაშები, თოფები, რეკალგერები, კრავები, ზღაშ-ჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლი-ონკა, უნაგირები, ლაგები, უთოები, ტასტები, ზირისსხრცი, ცხვირის-სასხრცი, ხეუჭები, ტუალეტის საშონი, დუხები, შარბათი, ციტატამგნეზია, ჩინას ღვი-ნო, ზარტ-კეინი, სერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები, — ინგლისის მა-ღაზიაში. იქვე ჩაი გაჭარბათვის ნარ-დათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გარკვევით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უზირველი ხარისხისა 2 მ. — წონა უქადადლოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (choke bore) George Dau-ს ფაბრი-კიდამ—120 მან. რეკალგერები 4—34 მან. და ბუდოგისა 11—20 მ. ქაღის უნაგირები 65 მან-დამ.; შეიძლდის და-ნები ჩანგლებით 3 მან. 50 კაბ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილ-ტრები და სხვ.

უგულავედ უმწავლესი ამოწევა თოფე-ბისა და რეკალგერებისა თფილისში. (100—40)

ინგლისის მაღაზიაში ანწრუნის გალგერეიაში (Maison de confiance)

შეადრეთ ჩეენი ჩაი ჩაის უგულვან — 1 მ. 10 კაბ. — 1 მ. 40 კაბ. — 1 ,, 20 ,, — 1 ,, 60 კაბ. — 1 ,, 40 ,, — 1 ,, 90 კაბ. — 1 ,, 60 ,, — 2 ,, 20 კაბ. — 1 ,, 80 ,, — 2 ,, 50 კაბ.

სუკრისა 2 მანეთ. — 3 მანეთ.

ჩაის წონა — უქადადლოა, სხვაგან კი ქადადლოთ. (100—64)

აუქციონი
5, 12 და 19 — ქრისტეშობა
ბისთვეს 1881 წელს კავკასიის აქეთა მხრის ზრიკაში იქნება გასეიდვა (აუქციონი) ოქო-ვერცხლის და ძვირფას თვალე-ულის ნიეთებისა. (3—2)

თექვსმეტ ოქტომბრიდამ ჩემს ხელში
გადმოვიდა ცნობარალური

სასტუმრო,
რომელიც არის მიხაილოვის ხიდის ყურში, განანცოვის ძეგლის ზირ-და-პირ, ლიხთანისკისა და ნარმანოვის სახლებში. სასტუმრო არის ჩინებლად მოართული, აქვს საკმაო რიცხვი ნომ-რებისა ფასად მანეთიდა 5 მანეთამ-დე. ბუჭეტისა და მოსამსახურისა ყველანი გამოყოფილნი იქმნებიან. სრუ-ლი იმედი მაქვს, რომ თბილისის ზატივეცემული საზოგადოება საჭირთ-ებისამებრ მომართავს ჩემ სასტუმროს, რომელიც მის და სასიამოვნოდ ყვე-ლაფრით შეიმძვია და უსათუოდ მისს ყურადღებას დაიმსახურებს

სადიდი და ვახშამი მსურველთ შეუძლან მიმართვან განიგებისამებრ ყოველ-დღეობით ან თვეობით ძრეულ ხელ-მისაცემ ფასად.

სასტუმროს გამკე (15—14) ლეჰან ოლახმარაშილი.

მცოდნე გულბალტაჩიისა ეძებს ადგილს მარტო საღამოობით, 4 საა-თიდამ. ადრესი: ამალღების ქუჩა, ჯანყულოვის სახლი, როტინოვის საღვომში, № 6. (3—2)

ბამცია
საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იუიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქ-ნებში და დატარებით 1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდის.

- ბამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:
- პირველის ხარისხის — 1 გირ. 5 კ.
 - მეორის ,, — 1 გირ. 3 1/2
 - მესამის ,, — 1 გირ. 3 კ.
- იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:
- პირველის ხარისხის — 1 გირ. 5 კ.
 - მეორის ,, — 1 გირ. 4 კ.
- ჯვარის-მამის პური:
- პირველ ხარის. ლავაში 1 გირ. 6 1/2
 - მეორის ,, ,, — 1 გირ. 5 კ.
 - მესამის ,, ,, — 1 გირ. 4 1/2
- ძროხის ხორცი:
- პირველის ხარისხის — 1 გირ. 10 კ.
 - მეორის ,, ,, — 1 გირ. 8 კ.
 - სუკი — — 1 გირ. 15 კ.
 - ცხვირის ხორცი — 1 გირ. 10 კ.
- ღორის ხორცი:
- პირველი ხარისხის — 1 გირ. 12 კ.
 - მეორის ,, ,, — 1 გირ. 11 კ.